ხელშეკრულება № 11

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. რუსთავი **31 იანვარი 2020 წ.**

ერთის მხრივ, სსიპ - **ქალაქ რუსთავის N21** სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი **დირექტორის ნინო გავაშელის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ჯეობიტი“** , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზ მაღლაკელიძის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ვაუჩერული დაფინანსებით CPV 30125110
შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგანს წარმოადგენს **ტონერის შევსება ლაზერული** პრინტერებისთვის და მასთან დაკავშირებული ხარჯების მომსახურეობა .

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს **1000(ერთიათასი)** ლარს.
2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ელ სასაქონლო ზედნადებით და/ან ანგარიშფაქტურით.
3.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხელმომწერ პირად განისაზღვროს სსიპ - ქალაქ რუსთავის №21 საჯარო სკოლის **დირექტორი ნინო გავაშელი**

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის ელ სასაქონლო ზედნადების და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს წლის განმავლობაში შემსყიდველი ორგანიზაციის ყოველი კონკრეტული შეკვეთა -განაცხადით მოთხოვნის საფუძველზე ორი დღის ვადაში (ქ. რუსთავი მესხიშვილის მე 2 გას N 3).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.
5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე

ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.
5.3. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13 ხელშეკრულების კონტროლი

13,1 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორს ემზარ ლობჯანიძეს.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე მომსახურეობის ვადა 2020 წლის 31 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და მოქმედებს 2021 წლის 30 იანვრამდე.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: **სსიპ - ქალაქ რუსთავის №21საჯარო სკოლა** **ს/კ 216317297** **მის: ქ. რუსთავი, მესხიშვილის მე -2 გასასვლელი N 3. საბანკო რეკვიზიტები:** **ანგ GE36VT0700000141413408** **ბანკი სს ვითიბი ბანკი ჯორჯია რუსთავის ფილიალი** **ტელ:(0341)279065,577211430** **დირექტორი: ნინო გავაშელი** _____ (ხელმოწერა) ბ.ა	**მიმწოდებელი:** **შპს „ჯეობიტი"** **ს/კ 216406486** **სს „ლიბერთი ბანკი"** **ბ.კ LBRTGE22** **ა/ა GE20LB0113128562508000** **ზ მაღლაკელიძე** _____ (ხელმოწერა) ბ.ა